(1994)

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ბუდაპეშტისშეხვედრის **<u>რეზოლუციიდან</u>**

საქართველო.

1. საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი საგანგაშო ვითარების გამო, რომელიც კიდევ უფრო გაართულა აფხაზეთში ამას წინათ მომხდარმა მოვლენებმა, მონაწილე სახელმწიფოები კვლავ ადასტურებენ, რომ მტკიცედ უჭერენ მხარს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ცნობილ საზღვრებში. სწორედ ან პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს კონფლიქტების მოწესრიგება საქართველოში. ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული კონფლიქტების ზონებში მცხოვრები მრავალეთნიკური მოსახლეობის ინტერესები.

2. მონაწილე სახელმწიფოებმა გამოთქვეს თავიანთი შეშფოთება აფხაზეთის (საქართველოს რესპუბლიკა) ხელისუფალთა მიერ 1994 წლის 26 ნოემბერს მიღებული ცალმხრივი გადაწყვეტილების გამო. ეს ძირს უთხრის როგორც გაეროს, ისე ევროთათბირის მცდელობას, დააჩქარონ მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგება მოლაპარაკებების გზით, რომლებიც მიმდინარეობენ საქართველოში კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის.

ისინი გამოთქვამენ ღრმა შეშფოთებას "ეთნიკური წმენდის~, მოსახლეობის, განსაკუთრებით, ქართველთა, თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან მასობრივი განდევნის და უდანაშაულო მოქალაქეთა დიდი რაოდენობით დაღუპვის გამო.

მათ გამოთქვეს იმედი, რომ გაეროს ეგიდით, რუსეთის ფედერაციის ხელშეწყობით და ევროთათბირის წარმომადგენელთა მონაწილეობით მიმდინარე ძალისხმევა გამოასწორებს სიტუაციას, რაც შესაძლებელს გახდის ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა დროულ დაბრუნებას სახლებში მათი უსაფრთხოებისა და ღირსების დაცვით. ამასთან დაკავშირებით, მათ მოუწოდეს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს მკაცრად დაიცვან გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამის რეზოლუციებში ჩამოყალიბებული პრინციპები და რეკომენდაციები და მოლაპარაკებების პროცესში მიღწეული შეთანხმებები.

3. მონაწილე სახელმწიფოებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ გარკვეული დადებითი ნაბიჯები გადაიდგა ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მიმართულებით. ეს შესაძლებელი გახდა გაერთიანებული სამშვიდობო ძალების მოქმედების შედეგად, რომელმაც განაპირობა ცეცხლის შეწყვეტის შენარჩუნება. ეს ძალები სოჭის შეთანხმების თანახმად შეიქმნა, როგორც გაერთიანებული სამშვიდობო და მართლწესრიგის დამცველი ძალები.

მოვლენათა იმედისმომცემ განვითარებას ხელი შეუწყო საქართველოში ევროთათბირის მისიის მოღვაწეობამ და რუსეთის ფედერაციის ძალისხმევამ. მონაწილე სახელმწიფოები მოუწოდებენ მისიას კვლავაც განაგრძონ მცდელობა, მიმართული კონფლიქტში მონაწილე მხარეთა შორის პოლიტიკური დიალოგის წარმართვისკენ, და ამგვარად, ხელი შეუწყონ მხარეთა შერიგებას და პოლიტიკური ჩარჩოების გაფართოებას, რაც ევროთათბირის პრინციპებზე დაყრდნობით შექმნის ქართულ-ოსური კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგების შესაძლებლობას.

მონაწილე სახელმწიფოებმა ცნობად მიიღეს გაერთიანებული სამშვიდობო ძალების მოქმედება, რომელიც შეიქმნა სოჭის 1992 წლის 24 ივნისის შეთანხმების საფუძველზე. ისინი მიესალმებიან ამჟამად მიმდინარე მოლაპარაკებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ შემდგომი პროგრესის მიღწევას პოლიტიკური მოწესრიგების გზაზე ევროთათბირის მისიის მონაწილეობით. ისინი მოუწოდებენ ევროთათბირის მისიას განაგრძოს მანდატის შესრულება გაერთიანებული სამშვიდობო ძალების მონიტორინგთან დაკავშირებით.

მონაწილე სახელმწიფოები მიესალმნენ ყველა მხარის მიერ 1994 წლის 31 ოქტომბერს მიღწეულ შეთანხმებას ერთობლივი საკონტროლო კომისიის აღდგენის შესახებ, რომლის მუშაობაშიც მისია აქტიურ მონაწილეობას მიიღებს.

4. მონაწილე სახელმწიფოებმა გამოთქვეს თავიანთი კმაყოფილება საქართველოს მთავრობის ძალისხმევით, რომელიც მიმართულია ადამიანის უფლებების პატივისცემის, ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის, სამართლებრივი და დემოკრატიული ინსტიტუტების შენებისა და საბაზრო ეკონომიკაზე სრული გადასვლისკენ. მისია კვლავ აქტიურად შეუწყობს ხელს საქართველოს ხელისუფლებას ამ საქმიანობაში. მონაწილე სახელმწიფოები დაბეჯითებით მოუწოდებენ შესაბამისი ქვეყნების მთავრო-

ბებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს აღმოუჩინონ საქართველოს რესპუბლიკას პოლიტიკური მხარდაჭერა და ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარება.

5. მონაწილე სახელმწიფოებს მიაჩნიათ, რომ სასურველი იქნებოდა, თუ შესაფერის დროს ჩატარდებოდა საერთაშორისო კონფერენცია ევროთათბირისა და გაეროს ეგიდით, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დაინტერესებული სახელმწიფოების მონაწილეობით, რომელიც მიმოიხილავდა, თუ როგორი პროგრესია მიღწეული საქართველოში კონფლიქტების მოწესრიგებისა და დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

ბუდაპეშტი, 1994 წლის 6 დეკემბერი.

(გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", # 208, 1994 წლის 10 დეკემბერი)